„დამტკიცებულია“:
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ
27 ოქტომბერი 2025
ოქმი №22 დადგენილება №50

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე დებულება შემუშავებულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა ნორმატიული აქტებისა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) წესდების შესაბამისად და აწესრიგებს უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წესს, სამაგისტრო პროგრამების განხორციელების რეგულაციებსა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის აუცილებელ პროცედურებს.

მუხლი 2. მაგისტრატურის დანიშნულება და მიზანი

1. მაგისტრატურა არის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მრავალდარგოვან უმაღლეს საგანმანათლებლო-სამეცნიერო დაწესებულებაში განხორციელებული უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხური და მოიცავს სასწავლო და კვლევით კომპონენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებას ან არის მკვლევარის მომზადების წინაპირობა, აგრეთვე პირს ამზადებს მიღებული კვალიფიკაციით დასაქმებისთვის. მაგისტრატურა მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის მომზადებას/ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით დასაქმებისთვის.

2. **მაგისტრანტობის კანდიდატი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრის ან განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ან მათთან გათანაბრებული პირი, რომელიც აპირებს სწავლის გაგრძელებას მაგისტრატურაში. რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს

შესაბამისი ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

3. **მაგისტრანტი** არის სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში.

4. **მაგისტრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

მუხლი 3. მაგისტრატურაში სწავლის უფლება

1. უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 4. მაგისტრატურაში ჩარიცხვის პირობები

1. მაგისტრატურაში მიღება ცხადდება აკრედიტებული სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში.
2. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატის ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდის და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სპეციალობის სამაგისტრო/შიდა გამოცდის შედეგების, უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.
3. შიდა გამოცდა ტარდება სპეციალობაში. კონკურსანტი საკონკურსო გამოცდას სპეციალობაში აბარებს დარგობრივ კომისიას. სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო უნივერსიტეტის შიდა წესებით განსაზღვრული შეფასემის 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება შეფასების მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.
4. მაგისტრატურაზე ჩარიცხვის წინაპირობაა B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნა, ან შესაბამისი სერტიფიკატის ფლობა. კონკურსანტისთვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა უცხო ენაში (მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა). გამოცდა ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
5. უცხოელი მოქალაქისათვის, რომელსაც არ ექნება წარმოდგენილი ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი, ინიშნება გამოცდა ქართულ ენაში

(მოსმენა, კითხვა, ლაპარაკი, წერა), რომელიც ბარდება საგამოცდო დარგობრივი კომისიის წინაშე. გამოცდის მინიმალური ბარიერია 51 ქულა. კანდიდატი, რომელიც ვერ გადალახავს აღნიშნულ ბარიერს, კარგავს კონკურსში მონაწილეობის გაგრძელების უფლებას. გამოცდა ჩატარდება მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად. ინფორმაცია გამოცდის დროისა და აუდიტორიის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. სპეციალობის შიდა სამაგისტრო გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს რექტორის სამართლებრივი აქტით შექმნილი შესაბამისი მიმართულების დარგობრივი კომისია.
7. ა) მისაღებ კონტიგენტს, სწავლის საფასურს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო დარგობრივი კომისიის შემადგენლობას განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.

ბ) მისაღებ კონტინგენტს, საკონკურსო გამოცდების ვადებს, გამოცდების ფორმატსა და საგამოცდო დარგობრივი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო. სწავლის საფასურს, ფაკულტეტის წარდგინებით, ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო.

გ) კონკურსანტთა საბუთების მიღების, საგამოცდო დარგობრივი კომისიების მუშაობის რეგლამენტს, გამოცდების განრიგს, საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებისა და გასაჩივრების წესს, სამაგისტრო პროგრამების ამოქმედების პირობებს განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

დ) ქართული ენის, ინგლისური ენისა და სპეციალობის/სპეციალობების საგამოცდო დარგობრივი კომისიის წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი ან არანაკლებ დოქტორის ან/და მასთან გათანაბრებული მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნია შესაბამის სამეცნიერო სფეროში გამოცდილება (დასტურდება პირადი საქმე/CV), ხასიათდება ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით.

8. უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა წარმოებს წინასწარ გამოცხადებული მისაღები კონტინგენტის ფარგლებში კონკურსის წესით.
9. მაგისტრატურაში ჩარიცხვის უფლება აქვს, აგრეთვე, პირს, რომელსაც აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, მაგრამ არჩეული მიმართულებისგან განსხვავებულ სპეციალობაში.
10. პროგრამაზე შესაძლებელია, განხორციელდეს სტუდენტების ჩარიცხვა გაცვლითი პროგრამის ფარგლებში არსებული წესის შესაბამისად.
11. სხვადასხვა სამაგისტრო პროგრამის მიხედვით, შეიძლება დადგენილ იქნეს დამატებითი მოთხოვნები.
12. პროგრამაზე სწავლა შეუძლია გააგრძელონ, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (რომელთა გაცემულ დიპლომს აღიარებს სახელმწიფო) და უნივერსიტეტის სხვა სპეციალობის მაგისტრანტებს მობილობის წესით.
13. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო-სამაგისტრო და ვეტერინარიის ინტეგრირებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე.

მუხლი 5. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება):

1. უნივერსიტეტში მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში.
2. რეგისტრაციას (საბუთების მიღებას) რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე ახორციელებს საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი რომელიც ვალდებულია, მიიღოს საბუთები დადგენილ ვადაში და დაადგინოს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობასა და მოქმედ კანონმდებლობასთან.
3. ინფორმაცია რეგისტრაციის თაობაზე ქვეყნდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

მუხლი 6. საბუთების ნუსხა

1. მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
   ა) განცხადება რექტორის სახელზე;
   ბ) აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის ასლი, რომელიც წარედგინება დედანთან ერთად;
   გ)უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული ფორმალური ცნობის (აღიარების) დოკუმენტი;
   დ) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი დედანთან ერთად. თუ დოკუმენტი უცხო ენაზეა შედგენილი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;
   ე) სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   ვ) ორი ფერადი ფოტოსურათი 3X4;
   ზ) საბანკო ქვითარი.
2. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელსაც უნივერსიტეტში ჩარიცხვის მომენტისათვის არ გააჩნია კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე გაცემული ცნობის საფუძველზე შეიძლება ჩაირიცხოს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე იმ პირობით, რომ ჩარიცხვიდან ერთი სემესტრის დასრულებამდე წარმოადგენს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულ აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს – დიპლომს

მუხლი 7. გამოცდების ჩატარება

შიდა სამაგისტრო გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადებში

მუხლი 8. საგამოცდო შედეგების გასაჩივრება

1. მაგისტრანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უცხო/ქართული ენისა და სპეციალობის გამოცდის შედეგებთან დაკავშირებით უნდა წარმოადგინოს შედეგების გამოქვეყნებიდან ორი დღის განმავლობაში სასწავლო უნივერსიტეტის კანცელარიაში რექტორის სახელზე. აპელაციის შედეგები ეცნობება ელ. ფოსტის, ტელეფონის ან კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, მაგისტრატურაში მიღების ვადების შესაბამისად.

2. საჩივრების განხილვის მიზნით უნივერსიტეტის რექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტით ქმნის საპრეტენზიო კომისიას;
3. საპრეტენზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს საგამოცდო კომისიის წევრი.

მუხლი 9. მაგისტრატურაში ჩარიცხვა, კრედიტების აღიარება, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა

1. მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს **სპეციალობის** გამოცდას (გამოცდებს) ჩაირიცხება შესაბამის სამაგისტრო პროგრამაზე. ასევე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესისა და მობილობის შედეგების შესაბამისად.
2. პირი მაგისტრატურაში ჩაირიცხება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
3. რექტორის ერთიან აქტში უნდა მიეთითოს მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც მაგისტრანტმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება. უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის ასახვა სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში, შესაბამისი წლის 5 ოქტომბრამდე. ეს პროცედურა უნდა განხორციელდეს სპეციალური ელექტრონული პროგრამის/მონაცემთა ბაზის წარმოების წესისა და საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
4. საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გავლილი სასწავლო კურსის/კურსების კრედიტების აღიარება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.
5. მაგისტრანტისათვის სტატუსის შეჩერება/შეწყვეტა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად;

მუხლი 10. სემესტრული რეგისტრაცია, რეგისტრაციის გაუქმება

1. მაგისტრანტი სასწავლო პროცესში მონაწილეობისა და კვლევითი სამუშაოს შესრულების უფლებას მოიპოვებს შესაბამისი სემესტრული ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გავლის შემდეგ.

2. მაგისტრანტის მიერ სემესტრული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს მის მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში.

3. მაგისტრანტს, რომელიც არ გაივლის სემესტრულ რეგისტრაციას, უჩერდება სტუდენტის სტატუსი და კარგავს აღნიშნულ სემესტრში კრედიტების მოპოვების უფლებას.

მუხლი 11. სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და წარდგენა

სამაგისტრო პროგრამის შემუშავება ხორციელდება უნივერსიტეტში არსებული რეგულაციით **,,შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის/შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესით“**

მუხლი 12. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, ერთი აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტს, ხოლო სემესტრში - 30 კრედიტს. შესაბამისად, სამაგისტრო პროგრამის ოპტიმალური ხანგრძლივობაა 4 სემესტრი/ 2 აკადემიური წელი, ხოლო ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები - არანაკლებ 300 კრედიტისა (1 კრედიტი 25 საათი), სასწავლო კურსების/მოდულების განაწილება განისაზღვრება დარგობრივი სტანდარტით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. სასწავლო კომპონენტების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო კვლევითი კომპონენტის შეფასების ფორმები და კრიტერიუმები განისაზღვრება წინამდებარე წესით.

4. მაგისტრატურის - უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის შედეგებია:

ცოდნა და გაცნობიერება: სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ღრმა, სისტემური ცოდნა და მისი კრიტიკული გააზრება, რომელიც მოიცავს სწავლის ან/და საქმიანობის სფეროს ზოგიერთ უახლეს მიღწევებს და ქმნის საფუძველს ინოვაციებისათვის, ახალი, ორიგინალური იდეების განვითარებისათვის.

უნარი - უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება ან/და კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით. რთული ან არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზი, ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, შეფასება და დასკვნების ჩამოყალიბება, რომლებშიც აისახება სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობები. საკუთარი დასკვნების, არგუმენტების და კვლევის შედეგების წარდგენა,

როგორც აკადემიურ ასევე, პროფესიული საზოგადოებისთვის აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა - კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით. პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

მუხლი 13. კვლევითი კომპონენტის მიზანი და ელემენტები

1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს სტუდენტს შერჩეულ სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით მიღწეული შედეგების წარმოჩენისა და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ არგუმენტირებულად წარმოდგენის უნარი. კვლევითი კომპონენტის მოცულობა განისაზღვრება ინდივიდუალურად პროგამის სპეციფიკის გათვალისწინებით და მოიცავს 20 – 25 - 30 კრედიტს.

ა) სამაგისტრო ნაშრომი სრულდება სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის ხელმძღვანელის კონსულტაციებით განხორციელებული კვლევისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

ბ) სამაგისტრო ნაშრომის თემა უნდა შეესაბამებოდეს საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო მოცულობა და სტრუქტურა განსაზღვრულია წინამდებარე წესის შესაბამისად.

2. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი სავალდებულო ელემენტების სახით მოიცავს: წერითი ხასიათის სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასა და ნაშრომის ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია) აკადემიური პროგრამის დასრულების ბოლოს და სამაგისტრო ნაშრომის დაცვას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დარგობრივი კომისიის სხდომაზე.

მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა

1. სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა ხდება მაგისტრანტის მიერ სწავლების მესამე სემესტრის არაუგვიანეს მე-10 კვირისა, ხოლო ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში IX სემესტრის არაუგვიანეს მე-10 კვირისა.
2. სტუდენტი ფაკულტეტის საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრული შემადგენლობიდან ირჩევს სამაგისტრო თემის ხელმძღვანელს, რომელსაც უთანხმებს სამაგისტრო თემას.
3. ხელმძღვანელის თანხმობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო ამტკიცებს სამაგისტრო თემას და თემის ხელმძღვანელს.
4. მაგისტრანტს უფლება აქვს შეცვალოს მის მიერ არჩეული სამაგისტრო ნაშრომის თემა ან უარი თქვას ნაშრომის ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე, IV სემესტრის დაწყებამდე, ხოლო

ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამების შემთხვევაში X სემესტრის დაწყებამდე. თემის სათაურის დაზუსტება შესაძლებელია საჭიროებისამებრ.

5. ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა სამაგისტრო ნაშრომის დამტკიცებიდან.
6. განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა ნაშრომის თემის/ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის შეცვლის შესაძლებლობას.

მუხლი 15. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

1. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი ან საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული პირი, რომელსაც აქვს სამაგისტრო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება.
2. ნაშრომის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული მაგისტრანტის ხელმძღვანელობაზე/თანახელმძღვანელობაზე როგორც სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, ისე მუშაობის პროცესში, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს არა უგვიანეს ერთი კვირისა ნაშრომზე მუშაობის დაწყებიდან. ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის განცხადების განხილვისა და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა ახალი სამაგისტრო ნაშრომის თემის არჩევის შესაძლებლობა ან ენიშნება სხვა ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს მაგისტრანტს ნაშრომის გეგმის შედგენაში, თანამედროვე რელევანტური ლიტერატურის, უახლესი ინფორმაციის, მონაცემების და კვლევის მეთოდების შერჩევაში, მისცეს მას სამაგისტრო ნაშრომის შესრულებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები, გამოთქვას შენიშვნები, დაეხმაროს სტუდენტს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირების პროცესში (მათ შორის, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობაში).
3. დაეხმაროს ნაშრომის მომზადების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადაწყვეტაში და სხვ. ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია მოამზადოს დასკვნა. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი ესწრება საჯარო დაცვას, თანახელმძღვანელის დასწრება საჯარო დაცვაზე არ არის სავალდებულო. საჯარო დაცვის დარგობრივ კომისიას და მაგისტრანტს შეუძლიათ მისი მოწვევა, ნაშრომის თანახელმძღვანელს შეუძლია მოითხოვოს საჯარო დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.

მუხლი 16. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა, რეცენზენტებისთვის ნაშრომის გადაცემის რეკომენდაცია

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტის შრიფტი - ”სილფაენი”, ზომა - 12, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ), ხელმოწერილი ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის დასათაურება, ნაშრომის ავტორის ვინაობა, სამაგისტრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, ზოგადი დახასიათება და რეკომენდაცია მაგისტრანტის დასკვნით შეფასებაზე დაშვების/დაშვებაზე უარის თქმის და რეცენზენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის გადაცემის/გადაცემაზე უარის თქმის შესახებ. ნაშრომის თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში დასკვნაში უნდა იყოს მითითებული მისი პოზიცია, მოსაზრებები სამაგისტრო ნაშრომის შესახებ და რეკომენდაცია მაგისტრანტის შეფასებაზე დაშვების და რეცენზენტებისთვის ნაშრომის გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

1. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის დასკვნა უნდა იქნეს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტის შრიფტი - ”სილფაენი”, ზომა - 12, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ), ხელმოწერილი ნაშრომის ხელმძღვანელის მიერ და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება, სამაგისტრო ნაშრომის დასათაურება, ნაშრომის ავტორის ვინაობა, სამაგისტრო ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, **ნაშრომში აკადემიური სტილისა და ციტირების წესების დაცვის შეფასება,** ზოგადი დახასიათება და რეკომენდაცია მაგისტრანტის დასკვნით შეფასებაზე დაშვების/დაშვებაზე უარის თქმის და რეცენზენტებისთვის სამაგისტრო ნაშრომის გადაცემის/გადაცემაზე უარის თქმის შესახებ. ნაშრომის თანახელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში დასკვნაში უნდა იყოს მითითებული მისი პოზიცია, მოსაზრებები სამაგისტრო ნაშრომის შესახებ და რეკომენდაცია მაგისტრანტის შეფასებაზე დაშვების და რეცენზენტებისთვის ნაშრომის გადაცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

2. **უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერიოდულად აფასებს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საქმიანობის ხარისხს** (მათ შორის, ნაშრომის დაცვის შედეგების, სტუდენტთა გამოკითხვებისა და ნაშრომების შინაარსის გათვალისწინებით) **დამტკიცებული მექანიზმების შესაბამისად**, რაც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებასა და განვითარებას.

მუხლი 17. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს A4 ზომის საშუალოდ 50-70 გვერდი, შრიფტი - ”სილ-ფაენი”, ზომა - 12, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12 Bold, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, ფურცლის ველები - ზემოდან, ქვემოდან და მარცხნიდან 2.5, მარჯვნიდან - 1,5 სმ.

2. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა:

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა უნდა ასახავდეს **თეორიულ, მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ კომპონენტებს**, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი ჰოლისტიკური შეფასება:

ა)**თავფურცელი** - სამაგისტრო ნაშრომის პირველი გვერდი (უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება და საკონტაქტი ინფორმაცია, საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება და უმაღლესი განათლების საფეხური, სამაგისტრო ნაშრომის და-სათაურება, მაგისტრანტის სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის სახელი და გვარი, რეცენზენტების სახელი და გვარი, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ადგილი და წელი);
ბ) **ანოტაცია** - უნდა ასახავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას, მიზნებსა და მოკლე დასკვნას (ერთი გვერდის მოცულობით);
გ) **შესავალი** - ნაშრომის ზოგადი ნაწილი, ასახავს ნაშრომის თემის აქტუალობის დასაბუთებას, მიზნებსა და დასმულ ამოცანას;
დ) **ტექსტის ძირითადი ნაწილი:** * **თეორიული ნაწილი:** უნდა მოიცავდეს დარგის უახლესი ლიტერატურისა და საერთაშორისო წყაროების **კრიტიკულ მიმოხილვას** და ძირითადი ცნებების ანალიზს. * **მეთოდოლოგიური ნაწილი:** უნდა შეიცავდეს კვლევის დიზაინის, მეთოდების, ინსტრუმენტებისა და შერჩევის **დასაბუთებულ აღწერას**. * **პრაქტიკული ნაწილი:** სავალდებულოდ უნდა ასახავდეს ავტორის მიერ განხორციელებულ **ორიგინალურ კვლევას** (მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ანალიზი და შედეგების ინტერპრეტაცია), რაც უზრუნველყოფს ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას.

ე) **დასკვნა** - ასახავს სამაგისტრო ნაშრომის შედეგებს;

ვ) **გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:** (შესწორება ლიტერატურის მითითების წესში). * **ზოგადი მოთხოვნა:** ნუსხაში სავალდებულოა **უცხოენოვანი (საერთაშორისო) წყაროების** გამოყენება, რომელთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვრება სამაგისტრო პროგრამის მიერ. ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის მითითება უნდა განხორციელდეს **საერთაშორისო ციტირების სტანდარტების (მაგ. APA, Chicago, MLA)** შესაბამისად. * 1-5. პერიოდული გამოცემების/წიგნების/ინტერნეტ-რესურსების... მითითების წესები **უნდა დაკონკრეტდეს შიდა ინსტრუქციაში**, რომელიც ექსპერტების რეკომენდაციის შესაბამისად, **დეტალურად, მაგალითების დონეზე** აღწერს ციტირებისა და ლიტერატურის გაფორმების წესს. * 6. ნაშრომის ტექსტში გამოყენებული ლიტერატურა უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს იხსნება ფრჩხილი, სადაც იწერება დასახელებული ლიტერატურის რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ მიეთითება გვერდები, საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (20, 250-115).

3. სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ყველა ნაწილი უნდა იწყებოდეს ახალი ფურცლიდან. ნაშრომი უნდა აიკინძოს შემდეგი თანმიმდევრობით: თავფურცელი; ანოტაცია; სარჩევი; შესავალი; თავები; დასკვნა; გამოყენებული ლიტერატურა; დანართები (ცხრილები, სქემები და/ან სხვ.).

მუხლი 18. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, წარდგენისა და დაცვის პროცედურა

1. სამაგისტრო თემის ხელმძღვანელი ვალდებულია დაეხმაროს სტუდენტს სამაგისტრო თემის შერჩევაში, გეგმის შედგენასა და ბიბლიოგრაფიის დამუშავებაში, ეტაპობრივად შეამოწმოს თემაზე მუშაობის პროცესი, **უზრუნველყოს ლიტერატურის წყაროების შესაბამისი მითითება და აკადემიური სტილის წესების დაცვა**, გამოთქვას შენიშვნები და კვლევის არასწორი მიმართულებით წარმართვის შემთხვევაში დაეხმაროს ავტორს მის კორექტირებაში.

2. მაგისტრანტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი კვლევის შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.

3. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დასრულებულ სამუშაოს, რომელიც უნდა ასახავდეს კურსდამთავრებულის უნარს, ჩაატაროს კვლევითი ან სხვა სახის სამუშაოები. წარმოდგენილი ნაშრომის დაცვისას მაგისტრანტმა უნდა წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული სამუშაო და დისკუსიაში მონაწილეობის უნარი.

4. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შემცდომების გარეშე, წინამდებარე დებულებით დადგენილი ფორმისა და წესის მიხედვით.

5. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

6. მაგისტრანტი სრულყოფილად გაფორმებულ, აკინძულ და ყდაში ჩასმულ სამაგისტრო ნაშრომს და ნაშრომის სრულ ელექტრონულ ვერსიას (CD) ხელმძღვანელის დასკვნის თანხლებით წარუდგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დადგენილი წესებისა და ვადების შესაბამისად.

7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს სამაგისტრო ნაშრომის შესაბამისობას ინსტრუქციასთან. **ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობაა ორი სავალდებულო ეტაპის გავლა:**

- **I ეტაპი: ტექნიკური შესაბამისობის შემოწმება** (ფორმატირება, ციტირების წესები, ლიტერატურის ნუსხის სისრულე).
- **II ეტაპი: პლაგიატზე სავალდებულო შემოწმება.** ფაკულტეტის მიერ დადგენილი ვადების შესაბამისად სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს ატვირთავს Moodle-ის პროგრამაში კომისიის დასკვნის მისაღებად. უნივერსიტეტში პლაგიატის დამდგენი კომისია ხუთი სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს ნაშრომებს პლაგიატის წესის შესაბამისად, **პროგრამა "Turnitin"-ის მეშვეობით**.

8. პლაგიატის კომისიის მიერ პლაგიატის არ დადასტურების შემთხვევაში გაცემული დასკვნის საფუძველზე სამაგისტრო ნაშრომი გადაეცემა რეცენზენტს.

9. სამაგისტრო ნაშრომის არ წარმოდგენის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს დეკანატი კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად.
10. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

მუხლი 19. სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტი

1.სამაგისტრო ნაშრომს ენიშნება რეცენზენტი, რაც ხდება სამაგისტრო ნაშრომებზე მუშაობის პერიოდის დასრულებამდე. რეცენზენტი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი, რეცენზენტი შეიძლება იყოს ზსსუ-ს ან სხვა უსდ-ს აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი (პროფესორთა შემადგენლობიდან) ან დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი. ასევე, სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ნაშრომის რეცენზენტი შეიძლება იყოს დარგში პროფესიული გამოცდილების მქონე პირი.
2.რეცენზენტს უფლება აქვს უარი თქვას კონკრეტული მაგისტრანტის ნაშრომის რეცენზენტობაზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს მისთვის ნაშრომის გადაცემამდე.
3. მაგისტრანტს უფლება აქვს უარი თქვას ნაშრომის კონკრეტულ რეცენზენტზე, ამ შემთხვევაში მან არგუმენტირებული წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის დეკანს რეცენზენტისთვის ნაშრომის გადაცემის ვადის დადგომამდე.
4. მაგისტრანტის/რეცენზენტის განცხადების განხილვის და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში სამაგისტრო ნაშრომს ენიშნება სხვა რეცენზენტი.
5. რეცენზენტი განიხილავს სამაგისტრო ნაშრომს და ამზადებს რეცენზიას (დასკვნას).
6. რეცენზენტის დასწრება დაცვაზე არ არის სავალდებულო. დაცვის კომისიას და მაგისტრანტს შეუძლია მისი მოწვევა, რეცენზენტს შეუძლია მოითხოვოს დაცვაზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.
7.რეცენზია უნდა იყოს ნაბეჭდი სახით წარმოდგენილი (ფურცელი - A4 ფორმატი, ტექსტის შრიფტი - ”სილფაენის”, ზომა - 11, სათაურების/ქვესათაურების ზომა - 14/12, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები (ყველა მხრიდან) 2 სმ), დადასტურებული რეცენზენტის ხელმოწერით და შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: რეცენზენტის ვინაობა, სამაგისტრო ნაშრომის დასათაურება, ნაშრომის ავტორის ვინაობა, დასკვნა ნაშრომის შესახებ, ნაშრომის მოკლე მიმოხილვა, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების აღნიშვნა შენიშვნების (რეკომენდაციების მითითებით).

მუხლი 20. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღისა და დარგობრივი კომისიის შემადგენლობის დამტკიცება

1. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღისა და **დარგობრივი** კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
2. დარგობრივი კომისია უნდა შედგებოდეს სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი მეცნიერების დარგის არანაკლებ 3 წევრისაგან.
3. დარგობრივი კომისიის წევრი შეიძლება იყოს როგორც სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირი.
4. დარგობრივი კომისიის წევრების გარდა, დასკვნითი გამოცდის/კვლევითი სამუშაოს საჯარო დაცვას უნდა დაესწროს მაგისტრანტის ხელმძღვანელი.
5. დარგობრივი კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც არის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.
6. დარგობრივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

მუხლი 21. სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე დაშვების პირობები და შეფასების შედეგები

1. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია: ა) სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების კრედიტების სრულად ათვისება; ბ) სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შუამდგომლობა ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად; გ) პლაგიატის კომისიის დასკვნა პლაგიატის არ დადასტურების შესახებ; დ) **ნაშრომის ტექნიკური შესაბამისობის შემოწმების დადებითი დასკვნა** (ფორმატირება, ციტირება) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ; ე) სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტის რეკომენდაცია ნაშრომის დაცვაზე წარსადგენად.

1. სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) დარგობრივი კომისიის წევრების შეფასებების საშუალო არითმეტიკულით, ფაკულტეტების მიერ შემუშავებული შესაბამისი კრიტერიუმების გათვალისწინებით (დანართი 1-ის შესაბამისად), სადაც **თანაბარი წონა ენიჭება ნაშრომის სამივე ძირითად კომპონენტს (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკული კვლევა)**.

2. **შეფასების სისტემით დასაშვებია**

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:
ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ა.ბ) (B) ძალიანკარგი – 81-90 ქულა;
ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს მეტი მუშაობა სჭირდება და მას უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და იგი კარგავს იმავე პროექტის/ნაშრომის წარდგენის უფლებას.
სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში მაგისტრანტი დამატებით სემესტრში გადის სემესტრულ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას და ეძლევა ახალ სამაგისტრო თემაზე შესრულებული პროექტის/ნაშრომის წარმოდგენის უფლება.

მუხლი 22. მაგისტრის აკადემიური ხარისხის ბათილობა

მაგისტრის აკადემიური ხარისხი მაგისტრს ჩამოერთმევა უნივერსიტეტის **აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების** საფუძველზე, თუ დადასტურდება **აკადემიური კეთილსინდისიერების** ნორმების დარღვევა. აკადემიური ხარისხის ბათილობის საფუძვლები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

1. **პლაგიატით:** (სხვისი იდეის, ტექსტის ან კვლევის შედეგის მითვისება და საკუთრად წარმოდგენა).
2. **მონაცემების გაყალბებით:** (კვლევის პროცესში მონაცემების მანიპულირება, ფაბრიკაცია ან შეცვლა).

აკადემიური ხარისხის ჩამორთმევა შესაძლებელია **ხანდაზმულობის ვადის მიუხედავად** (მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან ნებისმიერ დროს), თუ დარღვევის ფაქტი დასტურდება დადგენილი წესით.

მუხლი 23. დასკვნითი დებულებები

1. **დებულებაში ცვლილებების შეტანა:** აღნიშნულ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება **მოქმედი კანონმდებლობის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებების** და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის **წესდებით** დადგენილი პროცედურების შესაბამისად.
2. **ფორს-მაჟორული სიტუაციების მართვა:** საგანგებო ან ფორს-მაჟორული სიტუაციის (რომელიც ხელს უშლის აკადემიური პროცესის ჩვეულ რეჟიმში წარმართვას) დადგომის შემთხვევაში, უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს უფლება აქვს, მიიღოს გადაწყვეტილება სამაგისტრო ნაშრომების დაცვის **შერეული ან დისტანციური ფორმატის** გამოყენების შესახებ. დაცვის ეს ფორმატი განხორციელდება ქვეყანაში მოქმედი **ჯანმრთელობის დაცვის რეგულაციებისა** და უნივერსიტეტის **დროებითი ადმინისტრაციული აქტების** სრული დაცვით.

შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულების
დანართი #1
სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დასკვნითი გამოცდის/კვლევითი სამუშაოს საჯარო დაცვის შეფასების კრიტერიუმები:

კვლევითი სამუშაოს საჯარო დაცვა	1		100
სამაგისტრო ნაშრომი	1	**90**	90
ნაშრომის ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია)	**1**	**10**	**10**

დასკვნითი შეფასება	
დასკვნითი შეფასება	შეფასება ხდება ერთჯერადად საჯარო დაცვაზე, უშუალოდ სამაგისტრო ნაშრომისა და პრეზენტაციის ფორმით ნაშრომის ზეპირი წარდგენის შეფასებით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევის (100 ქულიდან არანაკლებ 51 ქულის მიღების) შემთხვევაში დაცვის კომისია აძლევს მაგისტრანტს ნაშრომის ზეპირად წარდგენის შესაძლებლობას და აფასებს როგორც წარმოდგენილ პრეზენტაციას, ისე მაგისტრანტის მიერ წარმოჩენილ კომპეტენციებს. დაცვის კომისია ადგენს სამაგისტრო პროგრამის კომპონენტის - „სამაგისტრო ნაშრომის“ - საბოლოო შეფასების ქულას.
სამაგისტრო ნაშრომი	ფასდება დაცვის კომისიის წევრების - დარგის სპეციალისტების მიერ ინდივიდუალურად (თითოეულის შეფასება - 100 ქულა), თითოეული

	შემფასებლის მიერ მინიჭებული ქულა წარმოადგენს შეფასების ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმში მიღებული ქულების ჯამს, შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში სხვა კრიტერიუმებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება და იწერება შემაჯამებელი შეფასება 0 ქულა. ქვემოთ მითითებულ შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება, შეფასების ქვეკრიტერიუმთან შეუსაბამობის (მაგ., არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ხარვეზები ან სხვ.) იწერება 0 ქულა; 2) სამაგისტრო ნაშრომის შეფასება (ქულა) წარმოადგენს დაცვის კომისიის წევრების - დარგის სპეციალისტების მიერ მინიჭებული შეფასებების (ქულების) საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.

სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასების კრიტერიუმები (100 ქულა)

ზოგადი დებულებები

1. ერთჯერადი შეფასება: საბოლოო შეფასება ხდება ერთჯერადად, საჯარო დაცვაზე, რომელიც მოიცავს ნაშრომის შეფასებას და ზეპირი პრეზენტაციის შეფასებას.
2. მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის დაძლევის (100 ქულიდან არანაკლებ 51 ქულის მიღების) შემთხვევაში, დაცვის კომისია აძლევს მაგისტრანტს ნაშრომის ზეპირად წარდგენის შესაძლებლობას.
3. შეფასების წესი: სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო ქულა წარმოადგენს დაცვის კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად მინიჭებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს.
4. შეფასების გაუქმება: შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმში 0 ქულის მიღების შემთხვევაში, სხვა კრიტერიუმებში მიღებული ქულები მხედველობაში არ მიიღება და იწერება შემაჯამებელი შეფასება 0 ქულა.
5. ნაწილობრივი შესაბამისობა: შეფასების ქვეკრიტერიუმთან ნაწილობრივ შესაბამისობის შემთხვევაში ხდება მითითებული მაქსიმალური ქულების განახევრება. შეფასების ქვეკრიტერიუმთან შეუსაბამობის (არსებითი შეცდომა, უზუსტობები/ხარვეზები) შემთხვევაში იწერება 0 ქულა.

I. ფორმალური მხარე და აკადემიური კეთილსინდისიერება (10 ქულა)

ქულა	კრიტერიუმები	კომენტარი
3 ქულა	ნაშრომის სტრუქტურა სრულად შეესაბამება დებულებით დადგენილ მოთხოვნებს (სარჩევი, თავები, თანმიმდევრობა).	
3 ქულა	ნაშრომის გაფორმება სრულად შეესაბამება დებულებით დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს (შრიფტი, ველები, სატიტულო გვერდი).	
4 ქულა	აკადემიური სტილი და ციტირების წესები: სრულად არის დაცული საერთაშორისო ციტირების სტანდარტი (APA/MLA/Chicago) და ლიტერატურა მიენიშნება აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით.	
სულ:	10 ქულა	

II. წერის კულტურა და ლიტერატურის ანალიზი (14 ქულა)

ქულა	კრიტერიუმები	კომენტარი
7 ქულა	ნაშრომი ენობრივად და ტერმინოლოგიურად გამართულია. ლექსიკა და აკადემიური სტილი რელევანტურია.	
7 ქულა	აზრი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და სტრუქტურირებულად გადმოცემული გამართული წინადადებებით; ნაწილებს შორის კავშირი ლოგიკური და თანმიმდევრულია.	
სულ:	14 ქულა	

III. შინაარსობრივი მხარე (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა) (66 ქულა)
ექსპერტთა რეკომენდაციის შესაბამისად, შინაარსობრივი შეფასება თანაბარი წონით ნაწილდება სამ ძირითად კომპონენტზე:

ა. თეორიული და კონცეპტუალური ანალიზი (22 ქულა)

ქულა	კრიტერიუმები
7 ქულა	საკვლევი თემის სიახლე და აქტუალობა მკაფიოდ და ლოგიკურად არის დასაბუთებული.
7 ქულა	თეორიული ნაწილი: დარგის უახლესი ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა სრულია. წარმოდგენილი და რელევანტურად გაანალიზებულია განსხვავებული და მსგავსი აკადემიური პოზიციები.
8 ქულა	ლიტერატურული წყაროების ხარისხი: შერჩეული მასალა, პირველწყაროები და უცხოენოვანი (საერთაშორისო) ლიტერატურა სრულად შეესაბამება კვლევის თემას და მათი რაოდენობა საკმარისია.

ბ. მეთოდოლოგია და კვლევის დიზაინი (22 ქულა)

ქულა	კრიტერიუმები
7 ქულა	მიზნები და ამოცანები მკაფიოდ ფორმულირებული, რელევანტური და მიღწევადია.
7 ქულა	პრობლემა მკაფიოდ და ლოგიკურადაა ჩამოყალიბებული, გამოკვეთილია კომპლექსური პრობლემის გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება.
8 ქულა	მეთოდოლოგიური ნაწილი: კვლევის მეთოდები არის პრობლემატიკის შესაბამისი, კვლევის დიზაინი, ინსტრუმენტები და შერჩევა დასაბუთებულად არის აღწერილი და სრულად გამოყენებული.

გ. პრაქტიკული კვლევა და შედეგები (22 ქულა)

ქულა	კრიტერიუმები
7 ქულა	კვლევის ლოგიკა: კვლევა შესრულებულია ლოგიკური თანმიმდევრობით; კვლევის ეტაპები ერთმანეთთან ლოგიკურად არის დაკავშირებული.
8 ქულა	პრაქტიკული ნაწილი/შედეგები: ავტორის მიერ განხორციელებული ორიგინალური კვლევის შედეგები შეესაბამება კვლევის მიზანს და ამოცანებს, მკაფიოდ და ლოგიკურად არის ჩამოყალიბებული და დასაბუთებული.
7 ქულა	დასკვნები არის კვლევის შედეგების შესაბამისი, დასაბუთებული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.
სულ:	66 ქულა

IV. სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია) (10 ქულა)

4.1.1 პრეზენტაციის ტექნიკური მხარე (5 ქულა)

ქულა	კრიტერიუმები
1 ქულა	პრეზენტაციის ვიზუალური მხარე სრულყოფილია, მომზადებულია შესაბამისი პროგრამ(ებ)ის გამოყენებით.
1 ქულა	პრეზენტაციის სლაიდების ტექსტი არის ოპტიმალური მოცულობის და ლოგიკურად ჩამოყალიბებული, ქმნის სრულ წარმოდგენას ნაშრომის შინაარსზე.
1 ქულა	პრეზენტაცია ჩატარდა შეფერხების გარეშე; სლაიდები და საილუსტრაციო მასალები იყო დროულად და თანმიმდევრულად წარდგენილი.
1 ქულა	დროის მართვა: პრეზენტაციის წარდგენის რეგლამენტი დაცულია.
1 ქულა	IT ფლობის დემონსტრირება: პრეზენტაცია ჩატარდა სრულყოფილად IT-ის გამოყენებით.

ქულა	კრიტერიუმები
სულ:	5 ქულა

4.1.2 პრეზენტაციის ტექნოლოგია (კონტაქტი აუდიტორიასთან) (5 ქულა)

ქულა	კრიტერიუმები
1 ქულა	აუდიტორიასთან კონტაქტის დამყარება, ინფორმაციის მიწოდების ტექნიკის (ჟესტიკულაცია, პაუზები) სწორი გამოყენება.
1 ქულა	აზრის მკაფიოდ და სტრუქტურირებულად გადაცემა გამართული წინადადებებითა და ტერმინოლოგიით.
1 ქულა	ლოგიკურად, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად საუბარი, დასკვნებისა და კვლევის მეთოდების შესახებ დასაბუთებულად მსჯელობა.
1 ქულა	აუდიტორიის შეკითხვების სწორად გაგება და დისკუსიაში მონაწილეობა: სწორი, ამომწურავი და დასაბუთებული პასუხის გაცემა შეფერხების გარეშე.
1 ქულა	საკუთარი პოზიციის დასაბუთების მიზნით რელევანტური მაგალითების და არგუმენტების მოყვანა, თეორიული ცოდნით თავისუფლად ოპერირება და საკითხის ღრმა და სისტემური ცოდნის წარმოჩენა.
სულ:	5 ქულა

საბოლოო შემაჯამებელი ქულა:

კრიტერიუმები	მაქსიმალური ქულა
I. ფორმალური მხარე და აკადემიური კეთილსინდისიერება	10 ქულა
II. წერის კულტურა და ლიტერატურის ანალიზი	14 ქულა
III. შინაარსობრივი მხარე (თეორია, მეთოდოლოგია, პრაქტიკა)	66 ქულა
IV. ზეპირი წარდგენა (პრეზენტაცია)	10 ქულა
სულ მაქსიმალური ქულა:	100 ქულა